

პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების  
აღწერილობა (კატალოგი)



შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო

კატალოგი

2024 წელი

ქ. თბილისი: აკ. წერეთლის გამზ. 142

ტელ.: (032) 2 34 22 01; 598 113 007; 597 77 28 55;

ვებგვერდი: [medicalschoo-3.edu.ge](http://medicalschoo-3.edu.ge)

ელექტრონული მისამართი: [medicalschoo3@gmail.com](mailto:medicalschoo3@gmail.com)

პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების  
აღწერილობა (კატალოგი)

**ჩვენთან მიღებული ცოდნა თქვენი დასაქმების გარანტიაა!!!**

ჩვენს კოლეჯს საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმებული არიან ქვეყნის უმსხვილეს სამედიცინო დაწესებულებებში. კოლეჯს წამყვან კლინიკებთან გაფორმებული აქვს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმები, რაც გულისხმობს წარმატებული კურსდამთავრებულების დასაქმების უზრუნველყოფას. ჩვენი კურსდამთავრებულების 80 პროცენტი დასაქმებულია კვალიფიკაციის შესაბამისად.

მ ი ს ი ა

კოლეჯი მესამე სამედიცინო, მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის წამყვანი მიმართულებაა ჯანდაცვა, რომელიც ზრუნავს კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალების აღზრდაზე; რისთვისაც უზრუნველყოფს, მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობას, სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში.

ხედვა

კოლეჯი მესამე სამედიცინო 2026 წლისათვის ერთ-ერთი წარმატებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, რომელთა მიღებული განათლების ხარისხი სრულად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; ფინანსურად ხელმისაწვდომი, დაკომპლექტებული

## პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლებითა და თანამშრომლებით, მრავალფეროვანი პარტნიორობით.

### ღირებულებები

ჰუმანიზმი, სანდობა, მაღალი პროფესიონალიზმი და თანასწორუფლებიანობა;

### მიზანია:

- ✓ განახორციელოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა;
- ✓ მოამზადოს სათანადო თეორიული, პრაქტიკული ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტები;
- ✓ უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლების მისაღებად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
- ✓ ამ მიზნების შესრულებისათვის კოლეჯი:
- ✓ ამზადებს პროფესიულ სტუდენტს პროფესიული მოღვაწეობისათვის;
- ✓ ზრუნავს, როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, ისე ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
- ✓ ითვალისწინებს სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების საჭიროებებსა და ქმნის მათთვის სწავლის საშეღავათო პირობებს;

## პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

- ✓ ხელს უწყობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისათვის ექსტრაკურთკულური აქტივობების განხორციელებას;
- ✓ ხელს უწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას;

# პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

## პ ა რ ტ ნ ი ო რ ი ორგანიზაციები



**ავექსი**  
სამედიცინო კორპორაცია

სს „ევექსის ჰოსპიტლები“ ივანე ბოკერიას სახელობის  
რეფერალური ჰოსპიტალი



**პინეო**  
სამედიცინო ეკოსისტემა

შპს „პინეო“ სამედიცინო ეკოსისტემა



შპს „ავერსი-ფარმა“

შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი



საქართველოს კარიტასი  
CARITAS GEORGIA

ა (ა) იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“

პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების  
აღწერილობა (კატალოგი)

## მიმდინარე პროგრამები

კოლეჯი ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე  
შემუშავებულ შემდეგ პროფესიულ/საგანმანათლებლო პროგრამებს  
(კოოპერაციული)

1. საექთნო განათლება
2. ფარმაცია (სააფთიაქო)

# პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

## საექთნო განათლება



### მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში / Higher Vocational Qualification in Nursing

**პროგრამის მოცულობა:** საგანმანათლებლო პროგრამა-საექთნო განათლების ითვალისწინებს 180 კრედიტის რაოდენობის ზოგად და პროფესიულ მოდულებს. ზოგად მოდულთა კრედიტების რაოდენობა შეადგენს 9 კრედიტს, ხოლო პროფესიული მოდულების კრედიტების რაოდენობა კი 171. საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 180 კრედიტი და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა

მოდულები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი
- თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი
- თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი
- თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი
- პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი
- კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

# პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

**პროგრამის მიზანი:** უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი.

## სწავლის შედეგი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
2. განახორციელოს თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
3. განახორციელოს ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა;
4. განახორციელოს გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა;
5. განახორციელოს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
6. განახორციელოს პერიოპერაციული პაციენტის საექთნო მართვა;
7. განახორციელოს სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
8. განახორციელოს პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
9. განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა;
10. განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა;
11. დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისადა მოვლის ხარისხის შეფასება.

**დასაქმების სფეროები** - საექთნო საქმეში ასოცირებული ხარისხის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

## სწავლების ხანგრძლივობა:

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 210 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 36 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 180 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 30 სასწავლო თვე

➤ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 86.1; 86.10; 86.10.0; 86.2; 86.21; 86.21.0; 86.22; 86.220; 86.23; 86.23.0; 86.9; 86.90; 86.90.0.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3221

**ხელმძღვანელი:** მირა ლაღუა; ლეილა ვოსკანიანი



## პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

### პრაქტიკის ობიექტები

1. სს „ვექსის ჰოსპიტლები“ ივანე ბოკერიას სახელობის რეფერალური ჰოსპიტალი  
ქ. თბილისი, ქინძმარაულის შესახვევი №1
2. შპს „პინეო“ სამედიცინო ეკოსისტემა  
ქ. თბილისი, გორგასლის №93
3. შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“  
ქ. თბილისი, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა №43
4. ა (ა) იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“  
ქ. თბილისი, ნუცუბიძის მე-2 მკ/რ ჟღენტის 3ა

# პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

## ფარმაცია (სააფთიაქო)



**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში /Higher Vocational Qualification in Pharmac

**პროგრამის მოცულობა:** საგანმანათლებლო პროგრამა- ფარმაცია (სააფთიაქო) ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით. პროგრამა, ასევე, ითვალისწინებს ერთ არჩევით მოდულს 3 კრედიტის მოცულობით.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

**პროგრამის მიზანი:** საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)-ს მიზანია, შემუშავებულ იქნას ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიან კადრის აღზრდას, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღებისას და განთავსებას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, მცირე შეფუთვებად მზა სამკურნალო ფორმის დაფასობას, რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალების მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;

**სწავლის შედეგი:**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
2. დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა
3. შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
4. განათავსოს პროდუქციასათანადო ადგილზე

## პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება-მარკირება
- მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები
- გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება-ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

**დასაქმების სფეროები** - საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

სწავლების ხანგრძლივობა:

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 153 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 27 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

- მოცულობა: 123 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე

➤ ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 46.46, 46.46.0, 47.73, 47.73.0, 82.92.0

➤ დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდები: 2262, 3213

**ხელმძღვანელი:** მზია თოფჩიშვილი

**პრაქტიკის ობიექტი:** შპს „ავერსი-ფარმა“

პროფესიული /საგანმანათლებლო პროგრამების  
აღწერილობა (კატალოგი)

გისურვებთ წარმატებებს!!!